საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/10

ქ.თბილისი

"16" თებერვალი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 6 ივლისის N6/19 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილების მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2015 წლის 6 ივლისის N6/19 ბრძანების მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „2. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს შესაბამის სფეროებზე საკურაციო უფლებამოსილების ვადა განესაზღვროს 2017 წლის პირველ მაისამდე";
2. ბრძანება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ინტერნეტ ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.,N6) ერთი თვის ვადაში;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე